ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 თებერვალი, სამშაბათი, 1989 წ. № 31 (9950) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე და სსრ კავშირის ჩემპიონატი

## ნახტომი, რომელმაც შეგვაშინა და... გაგვახარა

**ევროპის** ჩემპიონი, თბილისელი გიორგი ჩოგოვაძე 10-მეტრიანი კოშკის კიდეზე დადგა და უკანასკნელი ნახტომის მოლოდინში გაირინდა.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლის ბედი გიორგისა და ერევნელ არსენ ჯავადიანს შორის ბრძოლაში უნდა გადაწყვეტილიყო.

მანამდე, ბოლო სამი ნახტომის წინ, ჯავადიანი სულ ლიდერობდა და ლიდერობდა, ჩოგოვაძე კი მესამე იყო. მერვე ნახტომი ჯავადიანმა „გააფუჭა", ჩოგოვაძემ კი პირიქით, შესანიშნავად შეასრულა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ერევნელ და თბილისელ სპორტსმენს შორის წონასწორობა არც მეცხრე ნახტომს დაურღვევია.

და აი, კოშკზე ჩოგოვაძე გაირინდა. გაირინდა იმ ნახტომის მოლოდინში, რომელიც სპეციალისტთა წრეში „307"-ის სახელითაა ცნობილი. ერთობ რთული ნახტომია! კოეფიციანტის ცხრილით იგი უმაღლესი სირთულისაა —3,3. მას ჩვენს ქვეყანაში ხუთი თუ ექვსი სპორტსმენი ასრულებს, თანაც, იშვიათად. ეს ნახტომი სხვაგვარად წინა დგომით სამნახევარი ტრიალი უკან მუხლდაკრულით იწოდება.

თბილისელი სერგო შალიბაშვილისთვის მონრეალის მსოფლიო უნივერსიადაზე სწორედ ეს ნახტომი გამოდგა საბედისწერო. მაშინ ჩოგოვაძე პატარა, იმედის მომცემი ბიჭი იყო. მწვრთნელმა იური გუტიაკულოვმა ეს ილეთი ჩოგოვაძის „საბრძოლო არსენალში" სწორედ შალიბაშვილის დაღუპვის შემდეგ შეიტანა. აქვე დავძენთ, რომ ამ ნახტომმა ჩოგოვაძეს არაერთი გამარჯვება მოუტანა.

ახლაც სულ ახლოს იყო მიზანთან. იმ ბოლო ნახტომის წინ გიორგი ქულათა ისეთი მარაგით იყო დაწინაურებული, რომ ბოლო გამოსვლა შეეძლო გაეფუჭებინა კიდეც, ჩემპიონი მაინც გახდებოდა. მთავარი იყო, როგორც წყალში მხტომელები იტყვიან, აუზში „ნაჯახივით" არ ჩავარდნილიყო.

ჩოგოვაძეს ის ნახტომი გაუფუჭდა და მხოლოდ 6-6,5 ბალი დაიმსახურა, მაგრამ ეს „ოქროს" მოსაპოვებლად მაინც საკმარისი აღმოჩნდა. აქ თავისი საქმე ნახტომის სირთულის კოეფიციენტმაც გააკეთა.

რაც შეეხება ჯავადიანს, მისი იგივე ნახტომი უარესი გამოდგა და „ოქრო-ვერცხლს" ვილა ჩივის, „ბრინჯაოც" დაკარგა.

ვერცხლის მედალი წილად ხვდა მოსკოველ ვლადიმერ ტიმოშენკოს — 616,20. ვორონეჟელი ვლადიმერ საუტინი მესამე იყო — 606,72. მას ჯავადიანი სულ რაღაც 27 მეასედი ქულით ჩამორჩა. ჩოგოვაძემ 624,36 ქულა დააგროვა.

კვირას დილით 10-მეტრიანი კოშკიდან გამართულ ასპარეზობაში, „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზეც პირველი სამი ადგილი ამავე თანმიმდევრობით განაწილდა.

ამრიგად, ჩოგოვაძემ ასეთ შედეგს მიაღწია: გაზეთის პრიზზე ორი პირველი ადგილი (3-მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში), საკავშირო ჩემპიონატში თითო ვერცხლისა (3-მეტრიან ტრამპლინზე) და ოქროს (10-მეტრიანი კოშკიდან) მედლები.

ერთი სიტყვით, ჩოგოვაძემ აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწია.

საერთოდ, თბილისელებმა ამ შეჯიბრებაში თუ შეჯიბრებებში ისე იასპარეზეს, როგორც არასდროს. თითოეულმა მათგანმა, შარშანდელთან შედარებით, საგრძნობლად გააუმჯობესა შედეგი.

შეგახსენებთ: გაზეთის პრიზზე გამართულ ასპარეზობაში ჩოგოვაძის გარდა საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები ანა როსტიაშვილი (მესამე ადგილი 10-მეტრიანი კოშკიდან) და გიორგი შელიუგოვი (მეორე ადგილი 1-მეტრიანი ტრამპლინიდან), ჩემპიონატში თავი გამოიჩინა დიანა მჭედლიძემ (ორი მესამე ადგილი 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან).

ამას გარდა, დაწინაურდნენ ჩვენი ახალგაზრდებიც, რომლებმაც შარშანდელთან შედარებით წინ. გიგანტური ნაბიჯები გადადგეს. მაგალითად, თოთხმეტი წლის ნანა ნებიერიძემ, რომელიც შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო და პირველად გამოდიოდა ასეთი რანგის შეჯიბრებაში, ყველასათვის მოულოდნელად კოშკიდან ხტომაში მეთერთმეტე ადგილი დაიკავა გაზეთის პრიზზე და ჩემპიონატში გამოსვლის უფლება დაიმსახურა. ეგ კიდევ არაფერი, ჩემპიონატში ნახევარფინალებამდე გაიკაფა გზა და საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გავიდა.

ან გავიხსენოთ თხუთმეტი წლის გოჩა გახარია, რომელიც ჩემპიონატში მეორედ გამოდიოდა და მეცხრე ადგილი დაიკავა. ეს შარშანდელთან შედარებით მთელი ათი საფეხურით დაწინაურება გახლავთ.

შეჯიბრების შემდეგ ვესაუბრეთ სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ვალერი კრუტოვს.

● **როგორ აფასებთ ამ ასპარეზობაში მასპინძელთა გამოსვლას?**

— რა თქმა უნდა, თბილისელთა გამოსვლით კმაყოფილი ვარ. თავისთავად ის ფაქტი, რომ მთელს ჩვენს ქვეყანაში თბილისი წყალში მხტომელთა მომზადების ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი გახდა, მრავლისმთქმელია.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი მოჭადრაკეების ახალი წარმატება



## პირველი პრიზი — ქეთევან კახიანს

**ტალინში** დამთავრებულ მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ქეთევან კახიანმა (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი). ბოლო ტურში კახიანმა დაამარცხა მარსელა ზოლმანოვა, მოაგროვა 12 ქულა და მიუწვდომელი აღმოჩნდა მეტოქეთათვის. მისმა უახლოესმა მდევარმა ტატიანა ფომინამ ბოლო ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ოტილია განცთან და 11 ქულით II ადგილი დაიკავა. 10,5 ქულა აქვს III ადგილზე მყოფ სვეტლანა პრუდნიკოვას (ბოლო ტურში მოუგო ტულიკი ლაესონს).



## კოეფიციენტით აჯობა

**საფრანგეთის** ქალაქ პავრში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 11-11 შესაძლებლიდან 8-8 ქულა მოაგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ. მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის გამო პირველი პრიზი არახამიას მიეკუთვნა.

სურათზე: ქეთევან არახამია (მარცხნივ) და ნონა გაფრინდაშვილი.

ჭადრაკი

## დაძაბული ფინიში

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დასასრულს მიუახლოვდა ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო პირველობა.

XIII ტურში თითქმის ყველა პარტია მძაფრ ცაიტნოტში წარიმართა და მხოლოდ სამი დამთავრდა (ტიმოშენკო-შიროვი — 1:0, ოლი-აკოფიანი — 0,5:0,5, სავჩენკო-ეპიშინი — 0,5:0,5). გადაიდო ულიბინ-დაუტოვის, რუბან-სერპერის, დრეევ-გიორგაძის, შაბალოვ-ნევეროვისა და ანასტასიან-როზენტალისის შეხვედრები.

შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. VII ტური: ტიმოშენკო-ანასტასიანი — 0,5:0,5, X ტური: ანასტასიანი-შაბალოვი — 1:0, XI ტური: დაუტოვი-აკოფიანი — 1:0, რუბანი-ნევეროვი — 0:1, XII ტური: როზენტალისი-სავჩენკო — 0,5:0,5, სერპერი-ტიმოშენკო — 0,5:0,5.

13 ტურის შემდეგ ლიდერთა შორის არიან: ვალერი ნევეროვი (კიევი), რუსტემ დაუტოვი (მინსკი) — 8,5-8,5, (1-1), აშოტ ანასტასიანი (ერევანი) — 7 (2), ალექსეი დრეევი (მოსკოვის ოლქი), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) —7-7 (1-1), მიხეილ ულიბინი (სვერდლოვსკი) — 6,5 (1).

თამარ ხუბაშვილი,
საერთაშორისო ოსტატი.

ცელებაია - მკითხველი

**ოსლო.** დამთავრდა მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ მრავალჭიდში. ოქროს მედალი 23 წლის ჰოლანდიელმა, ევროპის ჩემპიონმა ლეო ფისერმა მოიპოვა — 165,698 ქულა. საბჭოთა სპორტსმენთა შორის საუკეთესო შედეგი ილდარ გარაევს ჰქონდა (170,569 ქულა), რომელმაც მეთერთმეტე ადგილი დაიკავა.

**ფაისტრიტცი** (ავსტრია). ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებმა ესტაფეტაში (4X7,5 კმ) II ადგილი დაიკავა — 1:29.40,10. ოქროს მედლები კი გდრ-ის გუნდს ხვდა — 1:29.05,0. ერთი დღით ადრე კი ქალთა სპრინტერული რბენა ჩატარდა 7,5 კილომეტრზე. აქ უძლიერესი ნორვეგიელი ანე ელვებაკი იყო. კიეველ ნატალია პრიკაზჩიკოვას მესამე შედეგი აღმოაჩნდა.

**ვეილი.** სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა გიგანტური სლალომი შვეიცარიელმა ფრენი შნაიდერმა მოიგო. შეჯიბრების ბოლო სახეობა ვაჟთა სპეციალური სლალომია, მაგრამ უკვე ახლავე ცნობილია, რომ შვეიცარიის გუნდმა საუკეთესო შედეგს მიაღწია: 3 ოქროს, 5 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალს.

**კორტინა დამპეცო.** შვეიცარიელთა დამაჯერებელი გამარჯვებით აღინიშნა ბობსლეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ოთხადგილიანი ციგებით რბოლაში. ოთხი ცდის ჯამში მათ საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდათ — 3.34,31. საბჭოთა კვარტეტმა, ამჯერად, მერვე ადგილი დაიკავა.

**ლონდონი.** „უემბლი კონფერენს სენტერში" გამართული შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში 16 წლის რიაზანელმა ლარისა მედვედევამ მოიგო.

კიდევ როდემდე?

## დახლებზე კი სიცარიელე იყო...

**დამთავრდა** სსრ კავშირ-კანადის ქალაქების მოსახლეობის დაუსწრებელი ღონისძიება, რომლის მიზანიც ის იყო, რომ ფართო მასები მოძრაობით მოპოვებულ სიამოვნებას ზიარებოდნენ. ჩვენი რესპუბლიკიდან ჯანმრთელობისათვის გაჩაღებულ ამ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში ჩაება მეტალურგთა ქალაქი რუსთავი, რომლის მეწყვილე კანადაში იყო ქალაქი სენტ-ჯონსი.

ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილება ჩვენ ჯერ არა გვაქვს. რუსთაველებმა ყველაფერი ილონეს, რომ იმ დღეებში რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის ეხმოთ ჯანმრთელობის სტარტებზე. ბევრ სიახლესაც მიაგნეს, მაგრამ, ვფიქრობთ, ორგანიზატორებსაც და ვაჭრობის მუშაკებსაც მხედველობიდან გამორჩათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — მოსახლეობის უზრუნველყოფა სპორტული ნაწარმით. ჩვენი რედაქციის მუშაკები გაოცებულები დარჩნენ, როცა რუსთავის სპორტულ მაღაზიებში იმ დღეებშიც კი ვერ ნახეს სპორტული ფეხსაცმელი და პიჟამოები, სახალხო მოხმარების სპორტული ინვენტარი. ქალაქში სპორტული ნაწარმის ყველაზე დიდი სავაჭრო ობიექტია №48 სპორტული მაღაზია. აქაც კი თურმე კარგა ხანია მომხმარებელი ვერ იძენს 33-დან 38 ზომის ჩათვლით სპორტულ ფეხსაცმელს, აგრეთვე 40, 42, 44, 46 ზომის პიჟამოებს. ფეხსაცმელებსაც და პიჟამოებსაც მეტწილად მხოლოდ დიდი ზომისას თუ ნახავთ მაღაზიებში. რატომ?

ჩვენი გაზეთი პირველად არ გამოდის კრიტიკული შენიშვნით იმის თაობაზე, რომ სპორტულ მაღაზიებში იშვიათად შეხვდებით სასურველი ასორტიმენტის და რაოდენობის სპორტულ ნაწარმს. ამ საკითხზე შარშან გაზეთ „კომუნისტშიც" დაიბეჭდა ვრცელი წერილი. როგორც ჩანს, ჯერჯერობით ჩვენს სავაჭრო ორგანიზაციებს და ფაბრიკებს კრიტიკული შენიშვნებიდან სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ. ველით პასუხს.

პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

## რინგი ყოველმხრივ მომზადებულთ „სწყალობს"

„ლელოს" 31 იანვრისა და 8 თებერვლის ნომრებში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილები („ქვეყნის ჩემპიონატზე" და „რინგი ყოველმხრივ მომზადებულთ „სწყალობს"), რომლებიც ახლახან ფრუნზეში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში რესპუბლიკის მოკრივეთა მონაწილეობის შედეგებს ეხებოდა.

ნაკრები გუნდის მწვრთნელთა საბჭომ იმსჯელა და არადამაკმაყოფილებლად შეაფასა საქართველოს მოკრივეთა შედეგები.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან ერთად მომზადდეს და სპორტსახკომის კოლეგიის უახლოეს სხდომაზე განხილულ იქნას რესპუბლიკაში კრივის მდგომარეობა და განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებები შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

მიღებული ზომების შესახებ გაცნობებთ დამატებით.

რ. აიწურაძე,
საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე.

სსრ კავშირის პირველობა, I ლიგა ● კალათბურთი, წყალბურთი

# ლიდერთან მოპოვებული ქულა

**კაუნასის** „ბანგა" I ლიგის ლიდერის როლში ჩამოვიდა თბილისში, სადაც ორი მატჩი ჩაატარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან. ამ შეხვედრებამდე „ბანგას" 30 თამაშიდან 23 ქულა ჰქონდა და ოთხი ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარს — დნეპროპეტროვსკელ კალათბურთელებს. მასპინძელი სპორტსმენები კი 13 ქულით სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფებიან.

ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) ლიდერთან გამართულ პირველ პაექრობაზე სტუდენტი კალათბურთელები მობილიზებული გამოვიდნენ. დასაწყისში უპირატესობა მათ მხარეს იყო, მა-



გრამ გამოცდილმა „ბანგამ" ინიციატივა თანდათან ხელთ იგდო და ტაიმი ექვსი ქულის უპირატესობით (49:43) მოიგო.

მეორე ნახევარში ჩვენი კალათბურთელები უფრო გააქტიურდნენ, მათი სროლებიც უფრო ზუსტი იყო. ტაიმის შუაგულისთვის ისინი 10 ქულით დაწინაურდნენ. ლიტველი სპორტსმენები ბევრს ეცადნენ, მაგრამ თამაშში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლეს და დამარცხდნენ—88:94. ამ დღეს თბილისელთაგან საუკეთესონი იყვნენ ო. კორკოტაძე (34 ქულა) და მ. მხეიძე (25), სტუმართაგან — დ. ბელიცკაიტე (24).

მეორე მატჩში ლიდერის მოგება უკვე ეჭვს არ იწვევდა, რადგან სტუმრებს ბურთის პირველი სროლიდან საფინალო სასტვენამდე თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ. პირველ ნახევარში ისინი 15 ქულითაც კი იყვნენ დაწინაურებულნი. ტაიმი მოიგეს 39:28. შესვენების შემდეგ ანგარიშში სხვაობა 20 ქულამდე გაიზარდა, რითაც სტუმრები ერთგვარ თვითდამშვიდებას მიეცნენ და კინალამ დაისჯნენ კიდეც — თამაშის დამთავრებამდე სამწუთნახევრით ადრე „ბანგა" მხოლოდ 9 ქულით იყო წინ. ჩვენმა კალათბურთელებმა გარდატეხის ეს მომენტი ბოლომდე ვერ გამოიყენეს — ზედმეტად ჩქარობდნენ, გახშირდა ბურთის მოუმზადებელი ტყორცნები, რაც, ცხადია, მიზანს ვერ აღწევდა. ლიდერმა მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა — (80:72) (თბილისელმა მ. მხეიძემ 29 ქულა შესძინა გუნდს, კაუნასელმა ი. იონკუტემ — 23).

შეიძლებოდა კი ლიდერთან მეორე ქულის მოპოვება? თუ გულახდილი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ არ შეიძლებოდა. ლიტველი კალათბურთელები ამ შეხვედრაში აშკარად გვჯობნიდნენ. ჩვენი სპორტსმენების თამაშში შეუიარაღებელი თვალითაც შეინიშნებოდა ტექნიკური და ტაქტიკური ლაფსუსები. ყოველივე ეს კი იმის შედეგია, რომ გუნდი უმეტესად დღეში ერთხელ ვარჯიშობს, ისიც 2 საათს, თამაშის წინ არ ტარდება საწვრთნელი შეკრებები.

ამის შესახებ დიდი ხანია ვწერთ და ვლაპარაკობთ, მაგრამ ჯერჯერობით საქმე წინ არ მიდის. ამ დღეებში მწყობრში ცვლავ ჩადგა ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზი. სპი-ს გუნდმა სავარჯიშოდ იქ გადაინაცვლა და იქნებ ამან სასიკეთოდ იმოქმედოს კოლექტივის ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებაზე.

კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს შევეხებით. საკავშირო სპორტსახკომის კალათბურთის განყოფილების გადაწყვეტილებით პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების დუბლშემადგენლობები მეორე წრიდან ჩაებნენ ბრძოლაში. საქართველოს სპორტსმენებმა ფრუნზეში ერთი შეხვედრა მოიგეს და ერთი წააგეს, ტტტ-სთან ორივეჯერ მარცხი იწვნიეს. იგივე განმეორდა „ბანგასთან" შეხვედრაში. პირველი მატჩი ჩვენმა გოგონებმა დათმეს 21 ქულით (85:106), მეორეშიც გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდნენ — 82:125. არადა, ეს ის გუნდია, რომელსაც მეოთხე საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე მოუწევს გამოსვლა. მართალია, იქ მათ ძირითადი შემადგენლობიდან ორი მოთამაშე დაემატებათ (მხეიძე და ყიფშიძე), მაგრამ ეს დიდი ვერაფერი იმედია, თუ ჩვენს მეტოქეებს მთავარი ბირთვი ბევრად ძლიერი ეყოლებათ. ახალგაზრდულ გუნდს აქედანვე სჭირდება განსაკუთრებული მზრუნველობა.

ვაჟა დანელია.



# უკეთ, ვიდრე ოდესმე

**კაუნასსა** და ვოლგოგრადში I ტურის შეხვედრები გაიმართა. თბილისის ასკ-ის გუნდი კაუნასის ჯგუფში გამოდიოდა. საუკეთესო შედეგს მიაღწია მასპინძელთა „ბანგამ", რომელმაც 10 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა. 6-6 ქულით მომდევნო ადგილებზე გავიდნენ დუშანბეს გუნდი და მოსკოვის „მაიაკის" კოლექტივები. 4-4 ქულა აქვთ თბილისისა და მარიუპოლის „აზოვის" წარმომადგენლებს, ხოლო ალმა-ათის „მედეოს" — 3.

10 შესაძლებლიდან 4 ქულის მოგროვება თბილისელთათვის დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი წყალბურთელები I ლიგაში მეოთხე წელია, რაც გამოდიან და მათ ისეთი კარგი სტარტი, როგორიც წლეულს აიღეს, მანამდე არ ჰქონიათ. მაგალითად, შარშან იმავე კაუნასიდან თბილისელები ერთადერთი ქულით დაბრუნდნენ შინ.

კაუნასის ტურში დაწინაურებულ გუნდებთან თბილისელებმა, შეიძლება ითქვას, თავიანთი პოტენციური შესაძლებლობები გამოავლინეს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენმა წყალბურთელებმა ლიდერებთან ქულები გაიყვეს, მათ შესაძლებლობებზე მეტყველებს. მასპინძლებთან შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 7:7, ხოლო დუშანბელებთან — 9:9. თბილისელებმა სძლიეს „მედეოს" — 11:9, ხოლო „აზოვთან" და „მაიაკთან" დამარცხდნენ (შესაბამისად 10:12 და 4:9).

II ტურის მასპინძლებად თბილისელები მოგვევლინებიან და ვაკის საცურაო აუზში სამი შეხვედრა გაიმართება.

ეს ტური 21 თებერვალს დაიწყება და არმიელები, იმედია, თავს არ შეირცხვენენ.

### კვირიდან კვირამდე

**„პრავდა" — 6 თებერვალი.** „კონფლიქტი კულისებს მიღმა". მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ვიაჩესლავ ფეტისოვი იძულებულია ითამაშოს... ფანქრების ფაბრიკის გუნდში.

**„იზვესტია" — 8 თებერვალი.** „მოთამაშე მწვრთნელის გულახდილობა." კიევში ემზადებიან ოლეგ ბლოხინის გამოსათხოვარი მატჩისათვის.

**11 თებერვალი.** „ჩვენი მოკრივეები პროფესიონალებში მიდიან". გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრება სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი კონსტანტინე კოპცევი.

**„ტრუდი" — 11 თებერვალი.** „იოგა: გონებისა და სხეულის დისციპლინა". ალექსი იაკობაშვილს კარგად იცნობს „ლელოს" მკითხველი. სწორედ მასთან საუბარს გვთავაზობს გაზეთი.

**„სოვეტსკი სპორტი" — 11 თებერვალი.** „ტოტალურ უკანდახევაზე" და აზრთა პლიურალიზმზე". დიდი გამოხმაურება გამოიწვია ჟურნალ „ოგონიოკში" (№3, 1989 წ.) დაბეჭდილმა გარი კასპაროვის წერილმა.

**11 თებერვალი.** „ოპერაცია „ქორწილი". ამერიკული ჟურნალი ჯონ დონალდსონისა და ელენა ახმილოვსკაიას შესახებ.

ინვალიდები და სპორტი

# ყველანი — საპატიო კვარცხლბეკზე

**როგორც** გასული წლის დამდეგს გაცნობებდით, საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაცია ემზადებოდა ყრუ სპორტსმენთა შორის ზაფხულის მსოფლიო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. დადგა შეჯიბრების დროც და წლეულს იანვარს, ახალ ზელანდიას ეწვივნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ყრუ სპორტსმენები, რომელთა შორის საქართველოს წარმომადგენლებიც იყვნენ, მათ შორის კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრი რამინ ფოლადაშვილი (82 კგ), რომელმაც ფინალში სძლია ამერიკელ ათლეტს და ოქროს მედალი დაისაკუთრა. ჩვენი რესპუბლიკის სხვა სპორტსმენებმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ვიქტორ მუსაევმა (57 კგ) და ვალერი კარიბოვმა (62 კგ) მესამე ადგილები დაიკავეს და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

შოთა კულულაშვილი.



სურათებზე (მარცხნიდან): რამინ ფოლადაშვილი, ვიქტორ მუსაევი, ვალერი კარიბოვი.
ემზარ მიქაუტაძის ფოტოები.



# ნახტომი, რომელმაც შეგვაშინა და... გაგვახარა

(დასასრული)

● **ჩოგოვაძეს ამ შეჯიბრებაზე ზოგიერთი ნახტომი საუკეთესოდ არ შეუსრულებია...**

— საერთოდ, სპორტული სეზონის ამ პერიოდში ჩვენი მხტომელები თავიანთი მომზადების პიკს ვერ აღწევენ. მიუხედავად ამისა, ჩოგოვაძემ მძაფრ ბრძოლაში იყოჩაღა, მაგრამ მისი გამარჯვება კოშკზე იმდენად არ მახარებს, რამდენადაც ტრამპლინზე მოპოვებული წარმატება. კარგი წყალში მხტომელი ისე ვერ გახდები, თუ ორივე სახეობაში ბრძოლა არ შეგიძლია. ჩოგოვაძემ კი იბრძოლა და ორივეგან წარმატებასაც მიაღწია. ეს იმის საწინდარი უნდა იყოს, რომ იგი თავის პროგრამაში, კოშკიდან ხტომაში, წლეულს უკეთესი ნახტომებით გაგვახარებს. ამ ასპარეზობის შედეგების მიხედვით გიორგიმ ევროპის თასის გათამაშების ორივე სახეობაში გამოსვლის უფლება მოიპოვა. ეს შეჯიბრება გაზაფხულზე, შვეიცარიაში გაიმართება. გაზაფხულზე ჩატარდება დიდი საერთაშორისო ტურნირი „გაზაფხულის მერცხლებიც". თუ აქაც წარმატებით იასპარეზა, მაშინ ჩოგოვაძე მსოფლიო თასისათვის ბრძოლაშიც გამოვა.

● **თქვენი აზრი განსაკუთრებით გვაინტერესებს ნებიერიძისა და გახარიას შესახებ.**

— ორივე სპორტსმენი ამ შეჯიბრების აღმოჩენა იყო, მაგრამ მეტისმეტი ქებაც არ მინდა გამომივიდეს. ბევრი ნორჩი სპორტსმენი შეგვიქია, მაგრამ მერე იმედები აღარ გაუმართლებიათ. თუმცა, მაინც მგონია, ნებიერიძეცა და გახარიაც თავიანთ სიტყვას იტყვიან.

● **კიდევ ერთი შეკითხვა: სპორტსმენებისთვის რომელ შეჯიბრებაში უფრო ძნელი იყო გამარჯვება — გაზეთის პრიზზე, თუ ჩემპიონატში, რომელიც კანადური სისტემით, ეტაპობრივად მიმდინარეობდა?**

— ოო, შედარებაც კი არ შეიძლება. ჩემპიონატი მეტად დაძაბული იყო. სპორტსმენებს აქ უნდა გადაელახათ წინასწარი, მეოთხედფინალური, ნახევარფინალური ზღუდეები და, ბოლოს — ფინალი. ყოველ ეტაპზე ოთხ-ოთხი სპორტსმენი გამოდიოდა. თითოეული მათგანი მომდევნო ნახტომისთვის განწყობასა და მომზადებას ვერ ასწრებდა. ასეთ შეჯიბრებაში მხოლოდ ოსტატობა არაა საკმარისი. საჭიროა კარგი ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადება.

ავთანდილ ბურახაშვილი.

# ძიუდოს „პორტრეტი" ჟურნალისტის სახლში

**საქართველოს** ჟურნალისტის სახლის საგამოფენო დარბაზში ამჟამად ძიუდოს სამყაროა წარმოდგენილი. აშკარად დასანახი, თითქმის ხელშესახებია სპორტის მკვეთრად გამძაფრებული გრძნობების აპოგეა; გამარჯვების სიხარული, მარცხით გამოწვეული ტკივილი, გულშემატკივართა აღტაცება... ნამდვილად ესთეტიკურ სიამოვნებას მოგანიჭებთ ულამაზეს ილეთთა მეყსიერად ამოტაცებული მომენტები.

ძნელზე ძნელია, რომ თემატურად ასე „დავიწროვებულ" გამოფენაში დიდ შთამომსახველობას მიაღწიო, მით უმეტეს, რომ დარბაზში ერთი ადამიანის ნამუშევრებია გამოფენილი. მაგრამ ავტორის, სპორტულ წრეებში თუ გულშემატკივრებში კარგად ცნობილ ალექსანდრე კოტორაშვილის თვალი და პროფესიული ოსტატობა წარმატებით სძლევს ამ რთულ ამოცანას. გამოფენა მეტად საინტერესოდ აღიქმება და დარწმუნებულნი ვართ, თვით სპორტისგან შორს მდგარ ადამიანსაც არ გააბრუნებს გულგრილად.

დარბაზში წარმოდგენილ 90 შავ-თეთრ სურათზე ქართული ძიუდოს აღმავალი გზაა წარმოსახული, დაწყებული ლეგენდარულ ფალავან ანზორ კიკნაძიდან, წლევანდელი წლის გამარჯვებებით დამთავრებული. „საქმეში" თუ პორტრეტულ ჟანრში დაინახავთ მსოფლიოს ბრწყინვალე მოჭიდავეთა რამდენიმე პლეადას: იამასიტასა და ინიკუმას, ენდოსა და ვაშონს, ვან დერ ვალესა და გრიგორი ვერიჩევს, კიდევ ერთხელ სიამოვნებით გაიხსენებთ ქართველ მოჭიდავეთა ტრიუმფის წუთებს.

ცნობილი ფოტოჟურნალისტის ალექსანდრე კოტორაშვილის გამოფენა თავისებური ფოტომემატიანეა მსოფლიოში მეტად აღიარებული თბილისის საერთაშორისო ტურნირებისა, თუმცა იქ სხვა დიდი შეჯიბრებების ფრაგმენტებსაც ნახავთ. ძიუდოს არაერთსახოვანი სამყარო ზოგჯერ უცნაური, თვით კომიკური ელემენტებით, კარგად შეუმჩნევია და ზუსტად აღუბეჭდია გამოცდილი ფოტორეპორტიორის თვალს. შეგახსენებთ რომ, ა. კოტორაშვილი საერთაშორისო გამოფენების მონაწილე და ლაურეატია.

გამოფენა, რომელიც სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციისა და ჟურნალისტის სახლის დირექციის თაოსნობით მოეწყო, 20 თებერვლამდე გასტანს.

# გაიმარჯვა ღირსეულმა

**ამ** დღეებში ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის №13 საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა კალათბურთში, რომელშიც ჭაბუკთა 8 კოლექტივი იბრძოდა.

პირველი ადგილი დაიკავა აქაურმა ვ. ჩიქოვანის სახელობის № 1 საშუალო სკოლის (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ს. მჟავანაძე) ნაკრებმა გუნდმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სამტრედიის № 14 და № 4 საშუალო სკოლების გუნდები.

„ლელოს" კორ.

# ახალი დებულების პერსპექტივები

**შარშანდელ** სეზონში ყავლი გაუვიდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულებას, რომლითაც ჩვენი ოსტატთა გუნდები ხელმძღვანელობდნენ 1986-1988 წლების გათამაშებებში.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა ამ დღეებში დაამტკიცა უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების საკავშირო გათამაშებათა დებულება, რომელიც ორი წლითაა გათვალისწინებული.

ახალ დებულებაში აღარაა ის პარაგრაფი, რომელიც უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებისთვის ფრეთა ლიმიტს ითვალისწინებდა. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, წინასწარი გარიგებით ფრედ დამთავრებული მატჩების საწინააღმდეგოდ გათვალისწინებულმა ამ ღონისძიებამ არსებითად ვერ გაამართლა და იმ 11 წლის მანძილზე, რაც ეს პუნქტი ჩვენს ფეხბურთში მოქმედებდა, ხშირად აბსურდული მდგომარეობა იქმნებოდა. ფრეთა ლიმიტი ჩვენს უმაღლეს ფეხბურთში 1978 წელს დაკანონდა, პირველი ორი წლის მანძილზე ლიმიტი 8 მატჩს უდრიდა, შემდეგ 10 მატჩამდე გაიზარდა.

სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ 1977 წლის სეზონში უმაღლესი ლიგის შეხვედრათა 58 პროცენტი ფრედ დამთავრდა. ლიმიტის დაწესების მერე, 1978 წელს, ფრეთა რაოდენობა 20 პროცენტით შემცირდა, მაგრამ ეს ლიმიტი შეთანხმებული მატჩების საწინააღმდეგო ღონისძიებად მაინც არ ვარგოდა, ვინაიდან საჭიროების შემთხვევაში მეტოქეებს სულ იოლად შეეძლოთ თანაბრად გაეყოთ ქულები შინ მოგებული და სტუმრად წაგებული მატჩების შედეგად. ფეხბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები, მიმომხილველები კატეგორიულად ილაშქრებდნენ ფრეთა ლიმიტის წინააღმდეგ, მრავალი გუნდი დაზარალდა ხელოვნურად დაწესებული ლიმიტის გამო მხოლოდ იმიტომ, რომ მთელ რიგ კონკრეტულ მატჩებში დიდი მონდომების მიუხედავად ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ სწორედ ამის გამო თბილისის „დინამო" 1979 წელს მეოთხე ადგილზე გავიდა, თუმცა შეეძლო ვერცხლის მედლები მოეპოვებინა. მოსკოვის „დინამოს" 1986 წელს შესაძლებლობა ჰქონდა ჩემპიონის წოდებისათვის დამატებითი მატჩი ეთამაშა კიევის „დინამოსთან", მაგრამ ლიმიტს გადაჭარბებული ფრედ დამთავრებული მატჩის გამო გუნდმა ეს უფლება დაკარგა.

ამგვარად, წლევანდელი სეზონიდან ფრედ დამთავრებული მატჩების ლიმიტი უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებისთვის დებულებიდან ამოღებულია.

კონსტრუქციული ცვლილებები მოხდა მეორე ლიგის შეჯიბრებაში, წლეულს საგრძნობლად გაფართოვდება მისი გეოგრაფია. თუ შარშან ამ ლიგაში ჩვენი ქვეყნის 169 გუნდი მონაწილეობდა, წლეულს მათი რაოდენობა 195-მდე გაიზრდება, რამდენადმე შეიცვალა ზონების შემადგენლობაც, თუმცა მათი საერთო რაოდენობა უცვლელი დარჩა — 9. ახალ დებულებაში კონკრეტულად მითითებულია, რომ მეორე ლიგის გუნდების წლევანდელ ზონალურ შეჯიბრებათა შედეგების მიხედვით 1990 წელს შეიქმნება მეორე ლიგის 3 ზონა თითოეული 22 გუნდის შემადგენლობით. ლიმიტი რესპუბლიკების მიხედვით ასეთია: რსფსრ — 26 გუნდი, უკრაინა — 10, ყაზახეთი და უზბეკეთი — 7-7, ბელორუსია და საქართველო — 3-3, აზერბაიჯანი — 2, სომხეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდავეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ესტონეთი — თითო. 1990 წლის ჩემპიონატში ამ ზონების გამარჯვებული გუნდები მოიპოვებენ პირველ ლიგაში თამაშის უფლებას.

**და მთავარი:** **სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა გუნდებს უფლება აქვთ თავიანთი საშტატო განრიგის ფარგლებში ჩარიცხონ ორი უცხოელი ფეხბურთელი საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის.**

**უცხოელ ფეხბურთელთა კონკრეტულ კანდიდატებს საბოლოოდ დაამტკიცებს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი საბჭოთა ფეხბურთის ინტერესების გათვალისწინებით.**

⊙ ფეხბურთი

## საწვრთნელი შეხვედრები

**ბათუმის** დინამოელებს ამხანაგური საერთაშორისო მატჩების გასამართავად ეწვია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. ლოძის ლკს. სტუმრებს 3 ამხანაგური მატჩის გამართვა აქვთ დაგეგმილი, პირველი 10 თებერვალს შედგა აჭარის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სტადიონზე.

თამაშის 30-ე წუთზე ანგარიში სტუმრებმა გახსნეს და მაშინვე მაჭუტაძემ გაათანაბრა ანგარიში — 1:1. ტაიმის მიწურულს დურდიაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

მატჩის მეორე ნახევარი ბათუმელთა სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. კიკლიაშვილმა 65-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გაზრდა — 2:1. მასპინძელთა უპირატესობა ამის შემდეგაც აშკარა იყო, მაგრამ თავდამსხმელებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. შეხვედრის მიწურულს სტუმართა ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დამთავრდა — 2:2.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ბალაძე (კუცია), გოგიტიძე (ათუაშვილი), მაისურაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია (თორლაშვილი), კიკლიაშვილი, მაჭუტაძე (მჭედლიშვილი), კაკილაშვილი, ქვანია (მეშკოვი), მიქაშავიძე.

**ლევან ქავჟარაძე.**
**„ლელოს" კორ.**

**ბათუმი.**

• • •

**ქუთაისის** „ტორპედომ" ეშერაში საკონტროლო მატჩი გამართა სოხუმის „დინამოსთან". საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით — 2:1.

## მარცხი ფინალში

**ბანგკოკში** დამთავრდა სამეფო თასის ტრადიციული, XX ტურნირი, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტაილანდის პირველი და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები.

ტაილანდელმა ფეხბურთელებმა ფინალური მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:1 (2:0) და საპატიო თასს დაეუფლნენ.

## მეორე საპრიზო ადგილზე

**ლენინგრადში** გაიმართა ნორჩთა საკავშირო ტურნირი ფეხბურთში. შეჯიბრებაში მიწვეული იყო სამტრედიის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გუნდი. სამტრედიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ასეთ წარმომადგენლობით ტურნირზე (ასპარეზობაში 8 გუნდი მონაწილეობდა) საპატიო მეორე ადგილი დაიკავეს. შეჯიბრებისათვის გუნდი მოამზადა მწვრთნელმა ნ. ჩიგოგიძემ.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

# პროფესიული ფეხბურთის საფუძვლებზე

**საფეხბურთო არდადეგები დასრულდა, 1988 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ სულ მცირე დროც არ იყო გასული, როცა დაიწყო ახალი შეჯიბრებები. წინასასეზონო მზადების გარდა ჩვენი გუნდები ახლა სერიოზულ მატჩებში არიან ჩაბმული, ხოლო სსრ კავშირის პირველი ნაკრები ინტენსიურად ემზადება 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის.**

**ყოველივე ამასთან დაკავშირებით საკდესის კორესპონდენტი ეწვია სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსს ვიაჩესლავ კოლოსკოვს და თხოვა ფეხბურთის მოყვარულთათვის გაეცნო ახალი სეზონის გეგმები, ესაუბრა მომავალ პერსპექტივებზე.**

— **საკავშირო** ჩემპიონატი 11 მარტს აიღებს სტარტს, — თქვა ვ. კოლოსკოვმა, — მაგრამ უკვე 26 თებერვალს დაიწყება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩები. ფეხბურთით დაინტერესებულმა ადამიანებმა იციან, რომ წლევანდელი პირველობიდან გაუქმებულია ფრეთა ლიმიტი უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებისათვის, საკავშირო ჩემპიონატი წლეულს დამთავრდება ადრე, 27 ოქტომბერს და ეს იმ მიზნით ხდება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, დასკვნითი თამაშები ჩატარდეს ნორმალურ სათამაშო მინდვრებზე და არა დახურულ დარბაზებში. სერიოზული კორექტივებია შეტანილი გათამაშების კალენდარში, რომლის პროექტი ჯერ კიდევ შარშან დავუგზავნეთ ჩვენი გუნდების მწვრთნელებს, სპეციალისტებს, გავითვალისწინეთ მათი შენიშვნები, ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ კლუბებს ოპტიმალური რეჟიმი შევუქმნათ არა მარტო შინაური შეჯიბრებების, არამედ კომერციული თამაშებისათვისაც.

ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობას, რა თქმა უნდა, აინტერესებს სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის შექმნის პრობლემები. კავშირის წესდების პროექტი პრესაში გამოქვეყნდა კიდეც, მაგრამ მას ბევრი ხარვეზი აღმოუჩინეს, რაც კავშირის დამფუძნებელ კრებაზე ნათლად გამომჟღავნდა. მისი ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი იყო ფინანსური პრობლემები. კავშირს სჭირდება ეკონომიკურად მძლავრი სპონსორები, შესაბამისი პოლიგრაფიული ბაზა საკუთარი ჟურნალის ან გაზეთის გამოსაცემად, არის სიძნელეები ფეხბურთელის პროფესიული სტატუსის თვალსაზრისითაც. პროექტის ახალ დებულებაზე ამჟამად დამფუძნებელი კომისიის წევრები მუშაობენ, აპრილში გაიმართება ახალი კონფერენცია, დებულებაც იქ დამტკიცდება და ხელმძღვანელ ორგანოებსაც აირჩევენ.

ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს უცხოეთის კლუბებში საბჭოთა ფეხბურთელთა ექსპორტის სწრაფი ტემპები. როცა საბჭოთა ფეხბურთელი საზღვარგარეთის პროფესიულ კლუბში გადადის, ჩვენ ვითვალისწინებთ გულშემატკივართა ინტერესებსაც და საბჭოთა სპორტის პრობლემურ საკითხებსაც. ფეხბურთელს უცხოეთის კლუბში რომ ვაგზავნით, მხედველობაში ვღებულობთ მის ასაკს, სამამულო ფეხბურთის განვითარებაში გაწეულ ღვაწლს. ვფიქრობთ, არ იქნებოდა მიზანშეწონილი შინ გაგვეჩერებინა გავრილოვი, შავლო, ხიდიატულინი, ბლოხინი, ბურიაკი, დასაევი, ზავაროვი. მათ ბევრი რამ გააკეთეს სამამულო ფეხბურთის განვითარებისთვის და უფლება აქვთ ღირსეულადაც წარადგინონ საბჭოთა სპორტი უცხოეთში. მაგრამ, გარდა ამისა, როგორც იცით, ახლა უფლება გვაქვს საბჭოთა კლუბებშიც მოვიწვიოთ ძლიერი უცხოელი ფეხბურთელები. ეს საერთაშორისო ფეხბურთში მტკიცედ დამკვიდრებული პრაქტიკაა.

საბჭოთა კლუბები ამჟამად თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სრულ ფინანსურ საფუძველზე და მოთამაშეთა ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლაც საფინანსო არგუმენტაციას ითვალისწინებს. ეს საკითხები შეთანხმებულია ფინანსთა სამინისტროსთან. მაგალითად, გათვალისწინებულია ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლებისა და ინტერნატებისთვის ფულადი კომპენსაციის გადახდა უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების გუნდების ფეხბურთელთა მომზადებისათვის. ამიერიდან, თუ რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი კონტრაქტს მოაწერს ხელს კლუბთან, მისმა აღმზრდელმა ორგანიზაციამ სწორედ ამ კლუბიდან უნდა მიიღოს განსაზღვრული თანხა. დარწმუნებული ვარ ასეთი ღონისძიება აამაღლებს ბავშვთა შორის მომუშავე მწვრთნელების დაინტერესებას, გააუმჯობესებს მათი მუშაობის ნაყოფიერებას.

გარანტირებულია, აგრეთვე, შესაბამისი ანაზღაურებანი იმ გუნდებისთვის, ვის მოთამაშეებსაც მიიწვევენ სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში. ეს ღონისძიებაც სავსებით მართებულია, ვინაიდან კლუბი გარკვეული ხნით კარგავს თავის საუკეთესო ფეხბურთელს, რთულ სიტუაციაში ვარდება, ამიტომაც მას უნდა ჰქონდეს დანაკარგის ანაზღაურების შესაძლებლობა.

ამიერიდან ფულს გადაიხდიან ის გუნდებიც, რომლებიც სხვა კლუბებიდან მიიწვევენ ფეხბურთელებს, თანაც, რაც უფრო მაღალი კვალიფიკაციისაა ფეხბურთელი, მით უფრო მეტი იქნება ასანაზღაურებელი თანხა. ასეთი ანაზღაურება, კერძოდ, გათვალისწინებულია პირველი და ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრთათვის. მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს: გადავიდა, ვთქვათ, ლენინგრადის „ზენიტის" მოთამაშე დმიტრიევი მოსკოვის „დინამოში", ამიტომაც მოსკოველებმა მის საფასურად ლენინგრადის კლუბს 50 ათასი მანეთი უნდა გადაუხადონ. იმედი გვაქვს, ამგვარი ფინანსური გარიგებანი ბევრ მწვრთნელს ხელს ააღებინებს მოუფიქრებელი, ნაჩქარევი მოპატიჟებებისაგან.

ახლა რამდენიმე კლუბი გვყავს სრულ თვითდაფინანსებაზე, მაგრამ გუნდების უმეტესობა ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს თავის ხარჯებს და ჯერ კიდევ საჭიროებს დოტაციას. მათი მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება მეტი მაყურებელი მიიზიდონ ტრიბუნებზე, ეძიონ შეძლებული სპონსორები, რაციონალურად წარმართონ საკლუბო ეკონომიკა.

სპორტის მოყვარულებს განსაკუთრებით აინტერესებთ მინიფეხბურთის საკითხები მას შემდეგ, რაც ჰოლანდიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. მინიფეხბურთი ჩვენში საკმაო ხანია კულტივირებულია, ოსტატთა გუნდების მწვრთნელებიც მინიფეხბურთს მიმართავენ როგორც დამხმარე საშუალებას, მაგრამ მინიფეხბურთი, როგორც ცალკე სახეობა, ჩვენში არ არსებობს, ჰოლანდიის მსოფლიო ჩემპიონატზე კი გამოდიოდნენ სპორტსმენები, რომლებიც დიდ ფეხბურთს არ თამაშობენ. ჩემი აზრით, საჭიროა შეიქმნას სპეციალური მინიფეხბურთის სისტემა, ფეხბურთელები საგანგებოდ აღვზარდოთ ბავშვობიდანვე. ამიტომაც უკვე გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ პირველი საკავშირო ჩემპიონატი მინიფეხბურთში მოზარდთა სპორტსკოლებს შორის. შესაძლოა მინიფეხბურთი სტუდენტთა გაერთიანებასაც გადავცეთ, რომელსაც შეეძლება ამ სახეობის სათანადო განვითარების უზრუნველყოფა. მინიფეხბურთი მტკიცედ უნდა დავაყენოთ ფეხზე და საერთაშორისო შეჯიბრებებშიც მივიღოთ მონაწილეობა.

⊙ ფეხბურთი



იტალია-90

## შესარჩევი მატჩები

გაიმართა მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

**ევროპის ზონა, V ჯგუფი**

**ლიმასოლი.** შოტლანდიელი ფეხბურთელები აქ კვიპროსის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2, გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა გოუმ და ერთი ჯონსტონმა.

შესარჩევ ჯგუფში ამჟამად 3 ტურის შემდეგ 5-5 ქულით ლიდერობენ შოტლანდიისა და იუგოსლავიის გუნდები.

კვიპროსისა და შოტლანდიის გუნდების ამ შეხვედრის დროს ლიმასოლის სტადიონზე დიდი უწესრიგობანი მოხდა. მატჩის მსაჯს აბრალებენ, რომ მან სათამაშო დროს გადააჭარბა და სწორედ მაშინ გავიდა გადამწყვეტი ბურთი კვიპროსელთა კარში. ამან გულშემატკივართა აღშფოთება გამოიწვია, მაყურებლები გადაცვივდნენ მინდორზე და შეუტიეს არბიტრს ზიგფრიდ იეშენს (გდრ). მსაჯი დაშავდა, საქმეში პოლიცია ჩაერია, შოტლანდიელი ფეხბურთელები მხოლოდ გაძლიერებული დაცვის მეოხებით გაიყვანეს მინდვრიდან. საქმეს იძიებს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია.

**ევროპის ზონა, VI ჯგუფი**

**ბელფასტი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ესპანელი ფეხბურთელები აქ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს (2:0). სტუმრებმა ანგარიში უკვე მე-3 წუთზე გახსნეს, ეს შეძლო გუნდის მცველმა ანდრინუამ, მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე კი მანოლომ მეორედ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

ესპანელთა გუნდის მწვრთნელი ლუის სუარესი თამაშის 72-ე წუთზე შეიჭრა სათამაშო მინდორზე და უხეშად შეეკამათა მსაჯს. ამის გამო მას წითელი ბარათი აჩვენეს და სათადარიგო მოთამაშეთა სკამიდან გააძევეს.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-0 | 8 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| ჩრ. ირლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 3 |
| ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

## უცხოეთის ამბები

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სადისციპლინო კომისიამ 4-4 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა პოლონეთის კლუბები გკს (კატოვიცე) და „ლეგია" (ვარშავა).

სანქცია იმითაა გამოწვეული, რომ ევროპის შარშანდელ საკლუბო გათამაშებებში ამ კლუბებმა საჭირო ორგანიზაცია ვერ გაუკეთეს პრესცენტრების მუშაობას თავიანთ ქალაქებში. 5 ოქტომბერს კატოვიცეს გკს ღებულობდა შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს", ხოლო ვარშავის „ლეგია" — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბაიერნს".

**„ვერონას"** არგენტინელი ფორვარდი კლაუდიო კანიჯია ვერ მიიღებს მონაწილეობას თავისი ქვეყნის ნაკრების მატჩებში, რომლებიც მარტში გაიმართება (სამხრეთ ამერიკის პირველობაზე). ამის მიზეზია „ბოლონიასთან" კალენდარულ შეხვედრაში მიღებული მძიმე ტრავმა.

**სამხრეთ** ამერიკის ჩემპიონი, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, ურუგვაელი ერნესტო ვიდალი „პენიაროლიდან" ესპანეთის „ლას პალმასში" გადავიდა.

**ირლანდიის** ნაკრების თავდამსხმელი ტონი კასკარინო კიდევ სამ წელიწადს ითამაშებს „მილუოლში". ამისათვის კლუბმა მას 1 მილიონი ფუნტი გადაუხადა.



### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# რევანში არ შედგა

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა მორიგი მატჩები.

**კიევი.** ადგილობრივ „სტროიტელთან" პირველ შეხვედრაში დამარცხების შემდეგ მოსკოვის არმიელები რევანშისთვის იყვნენ განწყობილნი. მაგრამ იგი არ შედგა ისევ და ისევ კიევის კალათბურთელთა მიზეზით. მოკოველებმა ვერაფერი რეალური ვერ დაუპირისპირეს „სტროიტელის" სწრაფ შეტევებს და მეორე შეხვედრაშიც დამარცხდნენ — 86:98 (38:42). ამჯერადაც გამოიჩინა თავი კიეველმა ვოლკოვმა, რომელმაც ორი შეხვედრის ჯამში თავის კოლექტივს 40 ქულა შესძინა.

ცსკა-მ წლევანდელ ჩემპიონატში უკვე მეექვსე შეხვედრა წააგო. არა და, მას ჯერ კიდევ ოთხი მატჩი აქვს ჩასატარებელი კაუნასის „ჟალგირისთან".

**ტალინი.** „კალევმა" მეორე შეხვედრაც მოუგო რიგის ვეფ-ს 97:84 (46:41) და 35 ქულით სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე დამკვიდრდა. ვეფ-ს დღეისთვის ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული (27) და დაკარგულიც ყველაზე ბევრი ქულა აქვს (23 დამარცხება).

**ვილნიუსი.** „ჟალგირისი" ერთბაშად რამდენიმე ფრონტზე იბრძვის და, წარმოიდგინეთ, საკმაოდ წარმატებითაც. „სტატიბასთან" პირველი ორთაბრძოლა კაუნასელმა კალათბურთელებმა ჩვეული ოსტატობით ჩაატარეს და სასურველ მიზანსაც მიაღწიეს — 113:81 (53:43).

**ლენინგრადი.** ადგილობრივმა „სპარტაკმა" მოსკოვის „დინამოს" უმასპინძლა და ორთავე შეხვედრა თითქმის ერთნაირი ანგარიშით დათმო — 80:91 (46:40) და 82:91 (41:49).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 13 თებერვლისათვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკ.) | 28 | 18 | 10 | 46 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 19 | 18 | 1 | 37 |
| ასკ (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| ცსკა | 21 | 15 | 6 | 36 |
| „კალევი" (ტალ.) | 24 | 11 | 13 | 35 |
| „სტროიტ." (კიევი) | 18 | 15 | 3 | 33 |
| „დინამო" (თბ.) | 24 | 8 | 16 | 32 |
| „სტატიბა" (ვილ.) | 21 | 10 | 11 | 31 |
| ვეფ (რიგა) | 27 | 4 | 23 | 31 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 24 | 6 | 18 | 30 |
| რტი (მინსკი) | 20 | 8 | 12 | 28 |
| „შახტ." (დონ.) | 20 | 6 | 14 | 26 |

# დეილ ელისი — საუკეთესო სნაიპერი

**ჰიუსტონი** (აშშ, ტეხასის შტატი). როგორც ვიუწყებოდით, აქ გაიმართა პროფესიონალ კალათბურთელთა ტრადიციული კონკურსი შორი მანძილიდან სროლებში. ორგანიზატორებმა იგი დაამთხვიეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის „ვარსკვლავთა" ასევე ტრადიციულ მატჩს, რომელიც წლეულს უკვე ოცდამეცხრამეტედ ჩატარდა.

კონკურსების ისტორიაში შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდნენ უცხოელი კალათბურთელები. ეს პატივი კაუნასის „ჟალგირისის" წევრს რიმას კურტინაიტისსაც ხვდა. პროგრამის თანახმად, ყოველ მოთამაშეს ერთი წუთის განმავლობაში უნდა ესროლა კალათში ბურთი ექვსმეტრიანი ზონიდან. კურტინაიტისი ბრძოლას ფინალამდე გამოეთიშა. გამარჯვება კი „სიეტლ სუპერსონიკის" მოთამაშეს დეილ ელისს ხვდა, რომელმაც წუთში 17-ჯერ ზუსტად ისროლა ბურთი კალათში.

# სეზონის მონახაზი

## ანუ გაიცანით — „მიმინო"

**საბჭოთა** რეგბისტებისათვის უმთავრესი საშინაო შეჯიბრება — საკავშირო ჩემპიონატი წელს 26-ედ ეწყობა. გარდა ამისა, გათამაშდება საკავშირო თასი, ქვეყნის ნაკრები კი საერთაშორისო მატჩებში მიიღებს მონაწილეობას.

ჩემპიონატში კვლავაც ორ — უმაღლეს და პირველ ლიგად დაყოფილი 24 გუნდი გამოვა. მათ შორის ხუთ-ხუთი წარმომადგენელი ეყოლებათ რუსეთსა და უკრაინას, ოთხ-ოთხი — საქართველოსა და მოსკოვს, კიდევ ხუთი რესპუბლიკა და ლენინგრადი კი ტურნირში მხოლოდ თითო გუნდით წარდგება. საქართველოს ღირსებას უმაღლეს ლიგაში დაიცავს სსრკ ორგზის ჩემპიონი ქუთაისის „მშენებელი" და თბილისის „ელმავალი", ხოლო პირველ ლიგაში თბილისის გუნდები — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს „მიმინო" (ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შევარდენი") და არმიის სპორტული კლუბი.

ჩემპიონატი აპრილის შუახანს დაიწყება და ოქტომბრის დამდეგს დამთავრდება. გათამაშების სისტემა შარშანდელის ანალოგიურია: უმაღლესი ლიგის გუნდები ამჯერადაც სამ ეტაპად იასპარეზებენ, პირველი ლიგისა — ორად. ეგაა მხოლოდ, რომ შეიცვალა მესამე ეტაპის ანგარიშში ჩასათვლელი მატჩების შერჩევის კრიტერიუმი. თუ შარშან გუნდებს მეორიდან მესამე ეტაპზე მხოლოდ ორ ურთიერთშეხვედრაში მოგროვილი „ოქროს ქულები" მიჰყვებოდათ (რაც ლიდერებს ჩემპიონატის საწყის ეტაპებზე მოპოვებულ უპირატესობას ართმევდა და იძულებულს ხდიდა მათ, მოკლე შეჯიბრებაში თავიდან დაემტკიცებინათ თავიანთი სიძლიერე), წელს მონაწილეებს გათამაშების საბოლოო ცხრილში მეორე და მესამე ეტაპებზე ნათამაშევი ათივე მატჩის შედეგი ჩაეთვლებათ. ეს სიახლე, რაღა თქმა უნდა, სატურნირო ბრძოლას კიდევ უფრო გაამძაფრებს, გამორიცხავს მეორე ეტაპზე „სალაღობო" მატჩების გამართვის შესაძლებლობას (ალბათ გეხსომებათ, რომ შარშანდელი ჩემპიონატის მეორე ეტაპზე მრავლად იყო მატჩები, რომელთა მოგება-წაგება გუნდებს „კამათლის მღერად უჩნდათ"), მაგრამ ამავდროულად იგი მნიშვნელოვან შინაგან წინააღმდეგობასაც შეიცავს: გათამაშების საბოლოო ცხრილში თითოეულ გუნდს შვიდის ნაცვლად მხოლოდ ხუთ მეტოქესთან ნათამაშევი ორ-ორი მატჩის შედეგი ჩაეთვლება, სხვადასხვა მეტოქეებთან შეჯიბრებით მიღებული მაჩვენებლების მიხედვით გუნდების ერთიანი კლასიფიკაცია კი ულოგიკო და გაუმართლებელია.

სერიოზული ხარვეზებია გათამაშების კალენდარშიც. საქართველოს გუნდებს აპრილში ერთთავად შინ მოუწევთ თამაში, მაის-ივნისში კი შვიდკვირიან ტურნეს გამართავენ, რომლის დროსაც სტუმრად ზედიზედ ცხრაჯერ უნდა ითამაშონ. პირველი ეტაპის ბოლო ტურს (რომელმაც ჩემპიონატის ორგანიზატორებს მეორე ეტაპისათვის ქვეჯგუფების შემადგენლობა უნდა დააზუსტებინოს) ბოლოსწინასაგან სამი კვირა აშორებს, მეორე ეტაპისაგან კი — შვიდიოდე დღე. ესეც, უთუოდ, პარადოქსია: გუნდებს თითქმის ერთი თვის განმავლობაში არ ეცოდინებათ მომდევნო მატჩების ზუსტი განრიგი, რაც, სხვა სიძნელეებთან ერთად, მატჩებზე გასამგზავრებელი ბილეთების შოვნას პრობლემად აქცევს.

ბოლო წლებში საკავშირო თასის გათამაშება როგორღაც მეორეხარისხოვან შეჯიბრებად იქცა, ჩემპიონატმა დაჩრდილა. საგულისხმოა, კიდევ ერთი პარადოქსი: 1987 წელს



თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი წრიული სისტემით მოეწყო, ჩემპიონი კი ფინალური მატჩების სერიამ გამოავლინა. მოკლედ, ყველაფერი თავდაყირა იდგა: თასი ჩემპიონატისებურად თამაშდებოდა, თავად ჩემპიონატი კი — თასისებრ. წელს ამგვარი შეუსაბამობა გამოსწორდა: ჩემპიონატზე უკვე მოგახსენეთ, რაც შეეხება თასის გათამაშებას, მისი დასკვნითი ეტაპი (მერვედფინალიდან მოყოლებული) ოლიმპიური სისტემით ჩატარდება — მეტოქენი ურთიერთობას თითო თამაშში გაარკვევენ, რომლის გამართვის ადგილიც საგანგებო წილისყრით განისაზღვრება. რაც შეეხება გათამაშების საწყის ეტაპს, იგი ოთხ ქვეჯგუფად გაიმართება. თითოეულ ქვეჯგუფში ექვსი გუნდი ითამაშებს. ეს ტურნირები მარტის დამლევს მოეწყობა თბილისში, ქუთაისში, ფეოდოსიასა და ტაშკენტში. საქართველოს გუნდები თავთავიანთი ქალაქების ქვეჯგუფებში იასპარეზებენ, რაც მათ კარგ პერსპექტივას უქადის. ვინაიდან მერვედფინალში გასასვლელად ქვეჯგუფის პირველ ოთხეულში მოხვედრაც კმარა, ამიტომ, საფიქრალია, რომ ეს ტურნირები ჩემპიონატისათვის მზადყოფნის შემოწმება უფრო იქნება, ვიდრე სერიოზული ასპარეზობა.

ქვეყნის ნაკრების საერთაშორისო შეხვედრების განრიგი ჯერჯერობით ნაწილობრივაა ცნობილი, საქმე ისაა, რომ საკავშირო ფედერაციამ შარშან, დეკემბერში ერთი პირობა გადაწყვიტა რეგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ), მოკავშირე წევრად შესვლა, მაგრამ საკავშირო სპორტსახკომს აუცილებელი საბუთი ირბ-ის სამდივნოსათვის ჯერაც არ გაუგზავნია. ამიტომ 1991 წლისათვის „ხუთი ერის პირველობის ქვეყნებში" დაგეგმილი მსოფლიო თასის მეორე გათამაშების შესარჩევ შეჯიბრებებში ჩვენი ნაკრების მონაწილეობის შესაძლებლობა გაურკვეველი რჩება. მიუხედავად ამისა, ნაკრებს მაინც აქვს კონკრეტული გეგმა და მიზანი: თუ 20 მაისს საფრანგეთში ერთ-ერთ იქაურ ნაკრებთან (თუ რომელთან, დღესაც ვერავინ იტყვის დაბეჯითებით!) სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) 1987-89 წლების პირველობის ბოლო მატჩს არ წააგებს, პირველად გახდება ფირა-ს ჩემპიონი. შემდეგ კი, ივლისში, მოსკოვი უმასპინძლებს „სოვეტსკი სპორტის" პრიზის გათამაშებას, ხოლო სექტემბერში ზიმბაბვეს ეროვნული ნაკრები საბჭოთა კავშირში გამართავს ტურნეს, რომლის პროგრამაში იქნება ტესტ-მატჩიც, ანუ თამაში პირველი ნაკრებების დონეზე.

ბოლოს, საქართველოს გუნდებისათვის კეთილხმოვანი ქართული სახელების დარქმევის შესახებ. ამ უდავოდ მოსაწონ აზრს ფართოდ გამოეხმაურა საზოგადოებრიობა, რაც, ალბათ, საბოლოო წარმატების იმედია, ამასთან, ამ საქმეს გაჯანჯლება არ ეგების: ისე არ მოხდეს, 10 მარტი — საკავშირო სპორტსახკომის სპორტთამაშობათა სამმართველოს რეგბის განყოფილებაში გუნდების განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა — კამათით გართულებს კარზე მოგვადგეს!

**ზაალ ბიბინეიშვილი.**

# ნხლ-ის ლიგის მატჩები

გაიმართა პროფესიონალ ჰოკეისტთა ეროვნული ჩემპიონატის (ნხლ) მორიგი ტურის მატჩები ჰოკეიში.

„კვებეკი" — „ჰარტფორდი" 0:5, „მონრეალი" — „კალგარი" 1:3, „ედმონტონი" — „რეინჯერსი" 2:3. „ნიუ ჯერსი" — „მინესოტა" 2:7, „აილენდერსი" — „ნიუ ჯერსი" 2:2, „ვაშინგტონი" — „ლოს ანჟელესი" 4:4, „ვანკუვერი" — „ჩიკაგო" 2:4, „ტორონტო" — „ბოსტონი" 1:2, „ჰარტფორდი" — „სენტ ლუისი" 3:3, „დეტროიტი" — „ბუფალო" 3:6, „პიტსბურგი" — „ვინიპეგი" 5:4, „ედმონტონი" — „ჩიკაგო" 3:6, „ბოსტონი" — „სენტ ლუისი" 4:2, „მინესოტა" — „კვებეკი" 5:3, „აილენდერსი" — „ვინიპეგი" 8:6, „კალგარი" — „რეინჯერსი" 5:3, „ფილადელფია" — „ვაშინგტონი" 0:1, „ლოს ანჟელესი" — „ვანკუვერი" 2:6, „ნიუ ჯერსი" — „ჰარტფორდი" 6:3, „ბუფალო" — „მონრეალი" 4:2, „დეტროიტი" — „ტორონტო" 8:1, „ბოსტონი" — „ვინიპეგი" 2:1, „ჰარტფორდი" — „კვებეკი" 2:3, „მონრეალი" — „ბუფალო" 2:1, „ფილადელფია" — „აილენდერსი" 7:4, „ტორონტო" — „რეინჯერსი" 1:1, „მინესოტა" — „ნიუ ჯერსი" 4:4, „პიტსბურგი" — „დეტროიტი" 10:5, „სენტ ლუისი" — „ვაშინგტონი" 4:4, „კალგარი" — „ჩიკაგო" 5:4, „ლოს ანჟელესი" — „ედმონტონი" 5:6.

დღეისათვის ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

1. „მონრეალი" 54 თამაშიდან 74 ქულა, 2. „კალგარი" 51-დან — 73, 3. „რეინჯერსი" 51-იდან — 62.

**(საქ. ინფ.)**

## მოგებაც ამას ჰქვია

50 ათასი კაცი მონაწილეობდა საჩოგბურთო ტოტალიზატორში, რომელშიც ინგლისელმა იან იანგმა 5 მილიონი დოლარი მოიგო. ასეთ თანხას, როგორც სპორტული ჟურნალისტები ხუმრობენ, იგი არ მიიღებდა, მთელი წლის განმავლობაში რომ ემარცხებინა ვილანდერი, ლენდლი, ბეკერი და თანამედროვეობის სხვა გამოჩენილი ოსტატები.

# ნორმან ბრუქსი — ცაცია ჩოგბურთელი

**1968 წელს** ღრმა მოხუცებული, 90 წელს გადაცილებული გარდაიცვალა მსოფლიო ჩოგბურთის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი ნორმან ბრუქსი — ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შესწირა ჩოგბურთს.

1905 წელს ბრუქსმა პირველად მიიღო მონაწილეობა უიმბლდონის ტურნირში. მან წინასწარი შეხვედრები — „ოლ-კამერს" — მოუგო, მაგრამ ფინალში დათმო ბრძოლა ხ. დოხერტისთან. იმ პერიოდში წინა შეჯიბრებაში გამარჯვებულები არ მონაწილეობდნენ ახალი ტურნირის წინასწარ შეხვედრებში. ისინი პირდაპირ ფინალში ხვდებოდნენ გამარჯვებულს. ნორმან ბრუქსმა უიმბლდონის ტურნირი ორჯერ მოიგო — 1907 და 1914 წ.წ. მის სხვა წარმატებებს მიეკუთვნება ერთეულთა თანრიგში გამარჯვება ავსტრალიის ჩემპიონატში. 1911 წ. დ. ანდერსონთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში მან მოიგო ავსტრალიის ჩემპიონატი, ხოლო დ. პატერსონთან ერთად, 1919 წელს — ამერიკის ჩემპიონატიც. 1905-1920 წლებში ბრუქსი მონაწილეობდა ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასის გათამაშებაში, სადაც ა. უაილდინგთან ერთად საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ იგი პირველი ჩოგბურთელი გახლდათ, რომელიც მარცხენა ხელით თამაშობდა.

ბრუქსი გამოირჩეოდა ფილიგრანული ოსტატობით, ურთულეს სიტუაციებში შესაშური თავდაჭერილობით, საჩოგბურთო წრეებში მას „ჯადოქარი" შეარქვეს. მისი მოწოდებული ბურთები ძალზე ძნელი მისაღები იყო. იმ წლებში ავსტრალიელი „ჯადოქარი" უჩვენებდა საკმაოდ მაღალი დონის თამაშს ბადესთან, შესანიშნავად შეეძლო მაღალი ბურთების მიღება და ზუსტად მიზანში გაგზავნა.

ბრუქსის სპორტული ბიოგრაფიიდან უნდა გავიხსენოთ 1914 წელს ამერიკელ მაკლაფინთან გამართული ფინალური მატჩის ეპიზოდი, რომელიც გამოირჩეოდა დიდი დრამატიზმით. მაკლაფინი, რომელსაც წითელი თმებისა და ყუმბარისებული მოწოდების გამო „კალიფორნიელი კომეტა" შეარქვეს, როგორც წესი, არ აგებდა არც ერთ თავის მოწოდებას. მიუხედავად ამისა, ბრუქსი მაინც თამაშობდა თავისუფლად და საკმაოდ ზუსტად. პირველი პარტია, რომელიც პაპანაქება სიცხეში მიმდინარეობდა, დამთავრდა მაკლაფენის გამარჯვებით — 17:15. იმ დროს ეს იყო გეიმების რეკორდული რაოდენობა გათამაშებული ერთ პარტიაში. მას ხანდახან უყვარდა კურიოზული სიტუაციების შექმნაც. ეს მატჩიც შეიძლება ასეთთა რიცხვს მივაკუთვნოთ. მაკლაფენის მოწოდების დროს იგი მუდმივად იძახდა — „მზად არ ვარ!", რაც იწვევდა მეტოქის, მსაჯებისა და მაყურებლის გულისწყრომას. ბოლოს და ბოლოს ხუთპარტიიან მატჩში გაიმარჯვა მაკლაფენმა.

ბრუქსი წყვილში თამაშის დიდი ოსტატი იყო. ვისაც კი მასთან ერთად უთამაშია, თვლის, რომ იგი არის სამაგალითო პარტნიორი და რომ მასთან თამაში ძალზე სასიამოვნოა.

1926 წლიდან 1961 წლამდე ნორმან ბრუქსი გახლდათ ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე. ჩოგბურთისადმი თავდადებული შრომის და ერთგულების გამო ინგლისის მეფისაგან მან მიიღო სამეფო ჯილდო, ხოლო საფრანგეთში დააჯილდოვეს საპატიო ლეგიონის ორდენით. მთელი ხანგრძლივი ცხოვრება ბრუქსმა უძღვნა ავსტრალიურ ჩოგბურთს. მან თავისი მოღვაწეობის მანძილზე დიდი წვლილი შეიტანა სპორტის ამ სახეობის აღორძინებაში.

**ალექსანდრე ჯიბლაძე.**

## „სპორტლოტო"

**ბუშინწინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-7 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 8 (ტრეკზე ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 12 (ტანვარჯიში), 15 (ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 29 (სასტენდო სროლა).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 4 (კრივი), 11 (ფრენბურთი), 19 (სათხილამურო რბოლები), 27 (მშვილდოსნობა), 33 (ფეხბურთი).

■ ■ ■

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-6 ტირაჟების შედეგები, რომლებიც 5 თებერვალს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1904175 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (35) მოგება 2489 მანეთია, ოთხისთვის (2269) — 37, სამისთვის (38184) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 20 244 502 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (27) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (5784) — 167, სამისთვის (199835) — 9.

06 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტის ჩათვლით.

რედაქტორი **თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მარაგი" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უა 10350